**სსიპ სახელმწიფო**
**შესყიდვების**
**სააგენტო**

**25 / აპრილი / 2025 წ.**

KA080172468997525

№ **1318**

# განკარგულება

## შპს „ბილდკინგსის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 14 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „ბილდკინგსის“ (ს/ნ: 400177358) 2025 წლის 14 აპრილის № 14.04.2025/2 მომართვა (რეგისტრაციის № 3273), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2025 წლის 22 აპრილს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2025 წლის 17 და 22 აპრილის № 17.04.2025/2 და № 22.04.2025/1 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №3422 და №3434), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 15 აპრილის №1015 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ბილდკინგსის“ (ს/ნ: 400177358) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2025 წლის 14 მაისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ბილდკინგსს“ (ს/ნ: 400177358) 2025 წლის 15 მაისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე